CCA
ამაგი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის

დირექტორის ბრძანება N49

2017 წლის 10 ივლისი

ქალაქი გორი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის განვითარების გრძელვადიანი (6 წლიანი) სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

კოლეჯში განხორციელებული ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის მითითებების გათვალისწინებით საჭიროა ახალი სამოქმედო გეგმის დამტკიცება.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის წესდების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის განვითარების გრძელვადიანი (6 წლიანი) სამოქმედო გეგმა დანართის შესაბამისად.
2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის

დირექტორი რუსუდან სუხიშვილი

LIMITED LIABILITY COMPANY "AMAGI" GEORGIA COMMUNITY COLLEGE * 417878130 *

დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი
„ამაგის“ დირექტორის
2017 წლის 10 ივლისი №49 ბრძანებით

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

განვითარების გრძელვადიანი (6 წლიანი) სტრატეგიული გეგმა 2017-2023 წ.წ.

2017

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის საქმიანობა ეფუძნება საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებულ პრინციპებსა და მიდგომებს. კოლეჯი მიზნად ისახავს შექმნას ისეთი ტიპის დაწესებულება, რომელიც პასუხისმგებელია მის მიერ მომზადებული კადრების კვალიფიციურობაზე და ამით გაიზიაროს საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა.

საზოგადოებრივი კოლეჯის მისიაა მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც კონკურენტუნარიანნი იქნებიან როგორც შიდა ქართლის რეგიონის, ასევე საქართველოს და საერთაშორისო შრომის ბაზარზე. ამისათვის კოლეჯი მიაწოდებს თავის პროფესიულ სტუდენტებს საქართველოს პროფესიული განათლების მიზნებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, უზრუნველყოფს უწყვეტი განათლების სისტემას, პროფესიული სტუდენტებისთვის სათანადო სასწავლო გარემოს შექმნას და მისცემს მათ საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად რეალიზების საშუალებას.

კოლეჯს მიაჩნია, რომ დაწესებულების თანმიმდევრული განვითარებისათვის აუცილებელი ინდიკატორია - საზოგადოებრივი კოლეჯის სტრატეგიის ფორმულირება, რომელშიც გაცხადებული იქნება დაწესებულების მიდგომა და ხედვა, რომელსაც ირჩევს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

წინამდებარე სტრატეგია შექმნილია იმისათვის, რომ საზოგადოებრივმა კოლეჯმა შეძლოს მის მიერ დასახული მიზნის გამჭვირვალედ და ჯეროვნად განხორციელება. მასში ასახულია კოლეჯის გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, სამოქმედო კურსი, მიზნების მიღწევის გზები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები, საშუალებები და შედეგები.

საზოგადოებრივი კოლეჯი დარწმუნებულია, რომ მისი სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება შესაძლებელია დაწესებულების შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებითა და ობიექტური ანალიზით. შესაბამისად კოლეჯის სტრატეგიული განვითრების გეგმის გადახედვა უნდა მოხდეს პერიოდულად და მის მოდიფიცირებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა პირმა.

წინამდებარე სტრატეგია წარმოადგენს წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავების საფუძველს.

საზოგადოებრივი კოლეჯის მიზანია :

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ტრენინგ-კურსების და სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელება.
ბ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება-სრულყოფა
გ)სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება -განვითარება
დ) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება
ე) დაწესებულების პოპულარიზაციის უზრუნველყოფა

მიზნების მისაღწევად, საზოგადოებრივი კოლეჯი:

- უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;
- ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
- ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;
- ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას;
- თანამშრომლობს პარტნიორ და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	*სუსტი მხარეები*
▪ მაღალკვალიფიციური პერსონალი; ▪ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებული პროფესიული პროგრამები; ▪ სტანდარტის შესაბამისად მოწყობილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ▪ სტანდარტის შესაბამისად განახლებული კომპიუტერული ლაბორატორია; ▪ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები აღჭურვილი თანამედროვე ლიტერატურით (წიგნები ბეჭდური და ელექტრონული მატარებლებით); ▪ თანამედროვედ აღჭურვილი საწარმოო ობიექტები; ▪ შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო.	▪ პროფესიული განათლების არაპოპულარობა რეგიონში; ▪ სტუდენტების მცირე კონტინგენტი ▪ განათლების სფეროს საკანონმდებლო ხარვეზები ▪ გასაახლებელი ინვენტარის ნაწილი; ▪ მცირე რაოდენობის პროგრამები ▪ პროფესიულ სტუდენტთა დაბალი ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში;
შესაძლებლობები	*საფრთხეები*
▪ ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ▪ პარტნიორი დაწესებულებების ქსელის გაფართობა ▪ პერსონალის კვალიფიკაციის მუმივ ამაღლებაზე ზრუნვა ▪ სტუდენტებისა და კვალიფიციური პერსონალის მოზიდვა ▪ პერსონალის კვალიფიკაციის მუდმივ	▪ არასტაბილური გარემო, მძიმე სოციალური ფონი ▪ მცირე ბიუჯეტი ▪ არაკონკურენტული გარემო

ამაღლებაზე ზრუნვა	

სტრატეგიული გეგმა 2017-2023									
სტრატეგიული მიზანი N1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესება									
ამოცანა	**წლები**							**შესრულების ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი პირი**
	2017	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**	**2023**		
1.1 . სასწავლო და დამხმარე ფართის, ასევე კოლეჯის ეზოს კეთილმოწყობა	X	X	X	X	X	X	X	სტანდარტთან/ მოდულის მოთხოვნებთან შესაბამისობა	დირექტორი, დირექტორის მოადგილე
1.2 კაბინეტ - ლაბორატორიების (მათ შორის კომპიტერული ლაბორატორიის) და ბიბლიოთეკის ინვენტარის სრულყოფა	X	X	X	X	X	X	X	სტანდარტთან/ მოდულის მოთხოვნებთან შესაბამისობა	დირექტორი, დირექტორის მოადგილე
1.3 ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება	X	X	X	X	X	X	X	სტანდარტთან/ მოდულის მოთხოვნებთან შესაბამისობა	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბიბლიოთეკარი
1.4 სანიტარულ-ჰიგიენური წერტილების,ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის და პირველადი სამედიცინო დახმარების გადამოწმება- სრულყოფა	X	X	X	X	X	X	X	სტანდარტთან შესაბამისობა	დირექტორი, დირექტორის მოადგილე
1.5 გათბობის სისტემის გადამოწმება-სრულყოფა	X	X	X	X	X	X		სტანდარტთან შესაბამისობა	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, უსაფრთხოების თანამშრომელი
სტრატეგიული მიზანი N2. პროფესიული საგანმანათლებლო, სასერტიფიკატო და გადამზადების პროგრამები									
ამოცანა	**წლები**							**შესრულების ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი პირი**
	2017	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**	**2023**		
2.1 ექთნის თანაშემწისა და ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მილევად რეჟიმში გადაყვანა	X							საკანონმდებლო ცვილებებთან შესაბამისობა	დირექტორი, ხარისხის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელები
2.2. პრაქტიკოსი ექთნის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და ავტორიზაციის გზით დამატება	X							პრაქტიკოსის ექთნის პროფესიულ პროგრამასთან და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ხარისხის მენეჯერი, დირექტორი

2.3. ფარმაცევტის თანაშემწის მოდულური პროგრამის შემუშავება და ავტორიზაციის გზით დამატება		X						ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიულ პროგრამასთან და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ხარისხის მენეჯერი, დირექტორი
2.4.ფარმაცევტის თანაშემწის საგნობრივი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ფარმაცევტის თანაშემწის მოდულურ საგნმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანა/შიდა მობილობა		X						საკანონმდებლო ცვილებებთან შესაბამისობა	პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ხარისხის მენეჯერი, დირექტორი
2.5 ექთნის თანაშემწის მოდულური პროგრამის შემუშავება და ავტორიზაციის გზით დამატება			X					ექთნის თანაშემწის პროფესიულ პროგრამასთან და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა	პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ხარისხის მენეჯერი, დირექტორი
2.6 ბუღალტრის სასერტიფიკატო პროგრამის შემუშავება			X					სასერტიფიკატო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციათან შესაბამისობა	პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ხარისხის მენეჯერი, დირექტორი
2.7. ინფორმაციული ტექნოლოგიების სასერტიფიკატო პროგრამის შემუშავება			X					სასერტიფიკატო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციათან შესაბამისობა	პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ხარისხის მენეჯერი, დირექტორი
2.8 შრომის ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით ახალი მოდულური, გადამზადების და/ან სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება და დანერგვა	X	X	X	X	X	X	X	პროგრამების შემუშავების წესებთან შესაბამისობა	პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ხარისხის მენეჯერი, დირექტორი
სტრატეგიული მიზანი N3. ხარისხის უზრუნველყოფა									
ამოცანა	**წლები**							**შესრულების ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი პირი**

	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023		
3.1 სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიურ ჩართვას, ინოვაციური აზროვნების წახალისებას, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებას და შეფასების ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების დანერგვას	X	X	X	X	X	X	X	სტანდარტთან შესაბამისობა	დირექტორი, ხარისხის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელები
3.2. პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პოტენციური დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვების ჩატარება	X	X	X	X	X	X	X	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მოთხოვნებთან შესაბამისობა	ხარისხის მენეჯერი
3.3. ჩატარებული გამოკითხვების შედეგების გაანალიზება - შეფასება და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება	X	X	X	X	X	X	X	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მოთხოვნებთან შესაბამისობა	ხარისხის მენეჯერი
3.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული განახლება სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით	X	X	X	X	X	X	X	სტანდარტებთან შესაბამისობა	ხარისხის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელები
3.5 მილევადი საგნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული გადასინჯვა სტანდარტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებზე ორიენტირებულობის თვალსაზრისით	X	X						სტანდარტებთან შესაბამისობა	ხარისხის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელები
3.5. პროფესიული მასწავლებლების გადამზადება-პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	X	X	X	X	X	X	X	სტანდარტებთან შესაბამისობა	დირექტორი, ხარისხის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელები

სტრატეგიული მიზანი N4. სტუდენტები და მათი მომსახურება

ამოცანა	წლები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი
	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023		

4.1 პროფესიული სტუდენტებისათვის კულტურული, სპორტული, გასართობი და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებათა ორგანიზება	X	X	X	X	X	X	X	ჩატარებული ღონისძიებები	დირექტორის მოადგილე
4.2.მედიკოსთა კლუბის შექმნა და ფუნქციონირება	X	X	X	X	X	X	X	სოციალულ ქსელში შექმნილი კლუბი	პროგრამის ხელმძღვანელები
4.3. პოტენციურ დამსაქმებლებთან პროფესიული სტუდენტების შეხვედრის ორგანიზება მათი შემდგომი დასაქმების მიზნით	X	X	X	X	X	X	X	შეხვედრის მასალები	დირექტორი, ხარისხის მენეჯერი
4.4. სტუდენტთა პროფესიული და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა მათი ჩართულობის უზრუნველყოფა კონფერენციებში, პროფესიონალთა მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში და სხვა.	X	X	X	X	X	X	X	ჩატარებული ღონისძიებები, კონფერენციების მასალები	დირექტორის მოადგილე
4.5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესება/ უზრუნველყოფა	X	X	X	X	X	X	X	სტანდარტთან შესაბამისობა	დირექტორი, დირექტორის მოადგილე
4.6 კვების ობიექტის ამოქმედება		X						კვების ობიექტის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან	დირექტორი, დირექტორის მოადგილე

სტრატეგიული მიზანი N5. საორგანიზაციო პროცედურები

ამოცანა	**წლები**							**შესრულების ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი პირი**
	2017	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**	**2023**		
5.1 ღია კარის დღეების ორგანიზება, პროფორიენტაციის ღონისძიებების მოწყობა, ვიზიტების განხორციელება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში	X	X	X	X	X	X	X	ღონისძიებების მასალები	დირექტორი, ხარისხის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი
5.2.კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ჩართვა დაწესებულების ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებში	X	X	X	X	X	X	X	ღონისძიებების მასალები	დირექტორი, ხარისხის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი

5.3.ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწის ღონისძიებების გატარება	X	X	X	X	X	X	X	ღონისძიებების მასალები	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, იურისტი
5.4 შრომის ბაზრის კვლევის დაგეგმვა-ორგანიზება	X	X	X	X	X	X	X	კვლევის მასალები	იურისტი, დირექტორი, ხარისხის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელები
5.5. ავტორიზაციისათვის მზადება განაცხადის წარდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში	X						X	ავტორიზაციის განაცხადი	დირექტორი, ხარისხის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენჯერი, იურისტი
5.6.მასწავლებლების შერჩევა/ხელშეკრულებების განახლება	X	X	X	X	X	X	X	სტანდარტთან შესაბამისი ხელშეკრულებები	იურისტი, დირექტორი, საქმისწარმოებისა და პერსონალის მართვის მენეჯერი,
5.7 შიდა სამართლებრივი რეგულაციების განახლება	X	X	X	X	X	X	X	სტანდარტთან, საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობა	იურისტი, დირექტორი, ხარისხის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელები